# კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები სატრანსპორტო სექტორისთვის

**პერსონალი არ უნდა გამოცხადდეს სამუშაო ადგილზე იმ შემთხვევაში, თუ:**

- მათ დატოვეს ვირუსის გავრცელების ქვეყნები ბოლო 14 დღის განმავლობაში;
- ბოლო 14 დღის განმავლობაში მჭიდრო კონტაქტში იმყოფებოდნენ კორონავირუსის მატარებელ პირთან/პირებთან (მათ უნდა გაიარონ კარანტინი შესაბამისად დადგენილი წესით);
- თუ აღენიშნებათ რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომები (ხველა, ტემპერატურა, ცემინება და ა.შ.);
- ის თანამშრომლები, რომლებიც მიეკუთვნებიან COVID-19-ით დაინფიცირებისა და გართულებების მაღალი რისკის მქონეებს: 70 წელს გადაცილებული, აგრეთვე, ქრონიკული დაავადებების (გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, დიაბეტი, ბრონქული ასთმა და სასუნთქი ორგანოების სხვა დაავადებები) მქონე პირები.

## დამსაქმებლის ვალდებულებები

⇒დამსაქმებელმა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა გამოვლენილი ინფიცირების შემთხვევა, უნდა შეიმუშაოს საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმა, რაც ხელს შეუწყობს ავადმყოფობის გამო გაცდენილი სამუშაო დღეების შემცირებას, გამოვლენის შემთხვევაში კი - გავრცელების პრევენციას;

⇒უზრუნველყავით თანამშრომლები ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (რესპირატორი, საჭიროების შემთხვევაში ხელთათმანი, სახის ფარი და შესაბამისი სათვალე);

⇒სატრანსპორტო საშუალებებში გამოაკარით განცხადებები (არსებობის შემთხვევაში მონიტორებზე) COVID-19-ის შესახებ და იმ პრევენციული ღონისძიებების შესახებ, რომელიც დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ არის განსაზღვრული;

⇒ყველა თანამშრომელსა და დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს მიაწოდოთ ინფორმაცია შესაბამისი პრევენციული პროცედურების შესახებ, რათა თავიდან იქნას აცილებული კორონავირუსის გავრცელება სამუშაო გარემოში;

⇒თანამშრომლებისთვის უზრუნველყავით ხელის დაბანის შესაძლებლობა, შესაბამისი საპნითა და სხვა ჰიგიენური საშუალებებით. ხელის დაბანის შეუძლებლობის შემთხვევაში, გამოყენებულ უნდა იქნას, სულ მცირე, 60% ალკოჰოლის შემცველი ხელის გამწმენდი სითხე;

⇒დაატრენინგეთ თანამშრომლები ინდივიდუალური დაცვის საშუალებებისა და ჰიგიენური საშუალებების სწორად გამოყენებასა და შემდგომში მის შენახვა/მოცილებაზე.

⇒დარწმუნდით, რომ დასაქმებულებს აქვთ წვდომა ხელის ჰიგიენურ საშუალებებთან და იციან მათი სწორად გამოყენება;

⇒ თვალსაჩინო ადგილას განათავსეთ ხელის ჰიგიენური საშუალებების სწორად მოხმარების წესები;

⇒პერიოდულად, დღეში რამდენჯერმე, უზრუნველყავით დახურული სივრცეების ბუნებრივი ვენტილაცია;

⇒გარკვეული პერიოდულობით მოახდინეთ ხშირად გამოყენებული სამუშაო აღჭურვილობისა და სამუშაო ადგილების დეზინფექცია. რეკომენდირებულია სატრანსპორტო საშუალებების შიგნით არსებული ინვენტარის სანიტარული დამუშავება ყოველი შესრულებული სამარშუტო ხაზის შემდგომ;

⇒დასაქმებულებისა და მგზავრებისთვის, უზრუნველყავით გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება;

⇒უზრუნველყავით გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების დროული გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ;

⇒ მოაწყვეთ დროებითი დამცავი გამჭვირვალე ბარიერი სატრანსპორტო საშუალების მძღოლის კაბინაზე;

⇒დამსაქმებელმა უნდა შეიმუშაოს იმ პირთა დაუყოვნებელი იზოლაციის პოლიტიკა და პროცედურები, რომელთაც COVID-19-ის ნიშნები და/ან სიმპტომები გააჩნიათ და ტრეინინგები უნდა ჩაუტაროს თანამშრომლებს აღნიშნულის განხოციელებაში.

# კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები სატრანსპორტო სექტორისთვის

**პერსონალი არ უნდა გამოცხადდეს სამუშაო ადგილზე იმ შემთხვევაში, თუ:**

- მათ დატოვეს ვირუსის გავრცელების ქვეყნები ბოლო 14 დღის განმავლობაში;
- ბოლო 14 დღის განმავლობაში მჭიდრო კონტაქტში იმყოფებოდნენ კორონავირუსის მატარებელ პირთან/პირებთან (მათ უნდა გაიარონ კარანტინი შესაბამისად დადგენილი წესით);
- თუ აღენიშნებათ რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომები (ხველა, ტემპერატურა, ცემინება და ა.შ.);
- ის თანამშრომლები, რომლებიც მიეკუთვნებიან COVID-19-ით დაინფიცირებისა და გართულებების მაღალი რისკის მქონეებს: 70 წელს გადაცილებული, აგრეთვე, ქრონიკული დაავადებების (გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, დიაბეტი, ბრონქული ასთმა და სასუნთქი ორგანოების სხვა დაავადებები) მქონე პირები.



## დასაქმებულთა ვალდებულები

**ხელის ჰიგიენის რეგულარულად და საფუძვლიანად შესრულება წარმოადგენს უმეტესი ვირუსებისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებას.**

შესაბამისად, აუცილებელია სამუშაო ადგილზე განახორციელოთ შემდეგი ღონისძიებები:

⇒ დაიცვათ ჰიგიენის წესები თქვენს სამუშაო ადგილზე;

⇒ სამუშაო პროცესი განახორციელეთ დამსაქმებლის/ შრომის უსაფრთხოების მენეჯერის მიერ განსაზღვრული საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმის შესაბამისად;

⇒ სამუშაოს შესრულებისას გამოიყენეთ სრულად ის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომელსაც გაწვდით დამსაქმებელი;

⇒ სადეზინფექციო საშუალებებით დაასუფთავეთ სამუშაო ადგილები და ის ხელსაწყოები, რომელსაც იყენებთ სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას;

⇒ საკვების მიღებამდე და მიღების შემდეგ, საპირფარეშოში შესვლის და გამოსვლის შემდეგ საფუძვლიანად დაიბანეთ ხელები წყლითა და საპნით.

⇒ გამოიყენეთ სპირტის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებები იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებთ ხელების დაბანასა და გაშრობას;

⇒ დაიცავით უსაფრთხო დისტანცია (არანაკლებ 1 მ-სა);

⇒ დახველების და დაცემინების დროს მიიფარეთ სუფთა ხელსახოცი ან იდაყვი. გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცი კი მოათავსეთ ურნაში;

⇒ მოერიდეთ ხელებით თვალებზე, ცხვირზე და პირზე შეხებას.

**შენიშვნა:** *ჯანდაცვის მინისტრის N281/ნ ბრძანების შესაბამისად, იმ პირებზე ვინც კორონავირუსის პრევენციის მიზნით კარანტინში იმყოფებიან, საავადმყოფო ფურცლის (ბიულეტინის) ტოლფას ცნობას გასცემს ჯანდაცვის სამინისტრო. აღნიშნული დოკუმენტი დამსაქმებლებისთვის ხელფასის გაცემის საფუძველი იქნება და შესაბამისად დასაქმებულ ადამიანებს ლეგიტიმურად ჩაეთვლებათ და სრულად აუნაზღაურდებათ კარანტინისა და თვითიზოლაციისას გაცდენილი სამუშაო დღეები. ცნობის მისაღებად დაინტერესებულ პირს შეუძლია სამინისტროს ელექტრონული ფოსტის მისამართზე - info@moh.gov.ge მიმართოს.*